# საქართველოს გაზეთი

## მარტის კა დღეს ჩყით წლისა ტფილისში.

## Но. 3.

### სანკტპეტერბურღს

წარსრულის იანვრის კვ. საზამთროს სასახლეში ჟამის წირვის შემდგომად ჴელმწიფე იმპერატორმან ინახვინა სპარსეთის ყაენისაგან ახ წარმოგზავნილი მოხელე მაჰმად-ჰასანხანი, რომელმაც ამის შემდგომად წარადგინა სასახლის ცხენების გასასწავლებელს სახლში მისის დიდებულებისადმი სპარსეთის ყაენისაგან საჩუქრად მორთმეული ცამეტი სპარსეთისა არაბისა და თურქმანის ულაყი ცხენი.

უმაღლესნი ბრძანებანი.

იანვრის კთ. რიცხვითგან.

გარდმოიყვანებიან:

დაჭრილობისგამო. გრუზინსკის გრენადერის პოლკის პორუჩიკი პონამარევი ხარკოვის შინაგანის მცველის ბატალიონში.

გარდაცვალებულნი გამოირიცხვიან ნუსხებიდამ.

გრენადერის პოლკთაგან.

გრუზინსკისა მაიორი მარკოვი მეხუთე.

და ხერსონისა პორუჩიკი ვონიფანტიევი.

იანვრის ლა. რიცხვითგან.

განთავისუფლდებიან სამსახურიდამ.

სნეულებისგამო: საქართველოს ოკრუჟნის არსენალის პორუჩიკი კოლიკოვი შტაბსკაპიტნად და მუნდირით, და ოცდაათს წელზედ მეტის სამსახურისათვის ნახევარ ჯამაგირის პენსიონად მიცემით.

გამოცლენი.

კადეტთ პირველის კადეტთ კორპუსიდამ მარკოზოვი ხერსონის გრენადერის პოლკში პრაპორშჩიკად.

ყოვლად უმოწყალესად ებოძათ ორდენი წმიდისა ანნას მეორისა ხარისხისა ასტარხნის ეპარხიის მეორის კლასის ფერისცვალების მონასტრის არხიმანდრიტს და იკაურის სემინარიის რექტორს დიონოსის, და ესევე ორდენი მესამისა ხარისხისა თულავის ეპარხიის ნამესტნიკს არხიმანდრიტს ეპიფანეს, შტატს გარეშე დამთომილს არხიმანდრიტს ნიკიფორეს, თბილისის სემინარიის რექტორს არხიმანდრიტს ირინეის და მცხეთის სობოროს დეკანოზს იოანე მაღალოვს.

ყოვლად უმოწყალესადვე ჰბოძებიათ ორდენი წმინდისა ანნას მეორისა ხარისხისა საქართველოს საიმგრეთოს სინოდის კანტორის პროკურორს კოლლეჟსკის სოვეტნიკს პილაევს, და საქართველოს ეკსარხოსის კანცელარიის მმართებელს ნადვორნის სოვეტნიკს რუსანოვს; ესევე ორდენი მესამისა ხარისხისა ოსეთის კომისსიის სეკრეტარს კოლლეჟსკის ასესორს ხრასტოვს და საქართველოს საიმგრეთოს სინოდის კანტორის სეკრეტარს ტიტულარნის სოვეტნიკს ჩუბინოვს.

გამოცხადებანი.

ისპოლნიტელნის ექსპედიციისაგან მიწოდებულნი არიან ქვემოხსენებულის მამულების სყიდვის მოწადენი, რადგან ისინი საკუთრის ვალების მიუცემლობისათვის დადებულნი არიან საქვეყნოს გასასყიდად.

ა. ელისავეტპოლელთ თათართ ქალბალაისა და ალიბეგოვისა თვით ელისავეტპოლში მამულები დუქნები, ბაღი, ბოსტნისადგილები, წისქვილი და სხვანი ამ ოლქში, რომელიც ჰფარავთ მოსაზინისა და სხვას უცხოს კაცებისა, იმათი

გასყიდვის ვადა დანიშნული არის მარტის კთ. და აპრილის იდ. და იზ.

ბ. თავადის იოსებ შალიკოვის ყმანი გორის უეზდის სოფელს სკრას მცხოვრებნი ათი სული მამაკაცი, და ექვსი სული დედაკაცი იმ თეთრში, რომელიც ჰმართებს მას თავადის როსტომ შალიკოვისა, იმათის გასყიდვის ვადა დანიშნული არის მარტის კთ. და აპრილის იდ. და იდ.

გ. ერთის დღის სახნავი ბაღი აზნაურის იოსებ ბალალოვისა გორის უეზდის სოფელს მეტეხს იმ ვალში, რომელიც ჰმართებს მას გორის მოქალაქის სოლომონ უუზანოვისა, იმისის გასყიდვის ვადა დანიშნული არის მარტის ლა. და აპრილის იდ. და იგ.

დ. ბერმიმ მარაბლის ყმა გორის უეზდის სოფელს ხვედურეთს მცხოვრები ზექან ელბაკიძე თავისის ვაჟისა და ქალის შვილით იმ ვალში, რომელიც ჰმართებს მას თავადის ორბელიანის ასულის ქეთევანისა და თავადის ავალის შვილის ასულის გუქასი, იმისის გასყიდვის ვადა დანიშნული არის აპრილის ბ. იე. და იდ.

ე. გიგო აზნაურის მიქელაშვილისა მარიამ ასაჯუკა იმ ვალში, რომელიც ჰმართებს მას მოქალაქის მელქო მიზიევისა, იმისის გასყიდვის ვადა დანიშნული არის მარტის იე. კ. და კდ.

ვ. აზნაურის ტეტია გაბაშვილის ყმა თბილისის უეზდის სოფელს ქვარილს მცხოვრები თავისის ცოლით იმ თეთრში, რომელიც ჰმართებს მას კოლლეჟსკის სეკრეტრის დავით მირიმანოვისა, იმათის გასყიდვის ვადა დანიშნული არის მარტის კბ. და აპრილის იდ. და იზ.

ზ. სამის დღის სახნავი მიწა აზნაურის ლუარსაბ მირზაშვილისა გორის უეზდის სოფელს შინდისს იმ ვალში, რომელიც ჰმართებს მას გორელის ბაბალოვისა, იმისის გასყიდვის ვადა დანიშნული არის მარტის კვ. და აპრილის ივ. და ით.

ჱ. თბილისში მცხოვრების გარდაცვალებულის არუთინა ჰეტრუზაშვილის სახლი თბილისს და ვეცხლის კულა, რომელიც ამ ექსპედიციაში არის იმ ვალის ჰასუსის გასაცემად, რომელიც ჰმართებს მას სხვა და სხვას კაცებისა, იმათის გასყიდვის ვადა დანიშნული არის მარტის კ. და აპრილის იე. და იდ.

თ. თავადის დავით ერისთოვის ყმა ნინია მერაბიშვილი თავისის სახლეულებით გორის უეზდში მცხოვრები იმ ვალში, რომელიც ჰმართებს მას თავადის პეტრაპეტრის მეუღლისა, იმისის გასყიდვის ვადა დანიშნული არის აპრილის ბ. კა. და კდ.

ი. ორი კომლი ყმა თავადის როსტომ ამირეჯიბოვისა გორის უეზდის სოფლებს აფლევსა და თილევს მცხოვრებნი ამ ვალში, რომელიც ჰმართებს მას მეათორმეტე კლასის სტეფანე ანტონოვისა, იმათის გასყიდვის ვადა დანიშნული არის აპრილის ბ. კა. და კდ.

გარდა ამისა დაბარებულნი არიან.

ია. გარდაცვალებულის დავით არაქელოვის მემკვიდრენი თბილისის უეზდის სუდში იმ განაჩენის მოსასმენად, რომელიც არის დაწერილი გიორგი მუსათოვის ვალის გარდახდის შეუძლებლობის საქმეზედ.

იბ. რომელთაც გარდაცვალებულის კოლლეჟსკის ასესსორის კაჭკაჭოვის ვალი ჰმართებსთ, და ან იმათი მას ჰმართებს, ისინი უნდა თავიანთის საბუთებით გამოსცხადდენ გორის უეზდის სუდში.

უცხოს ქვეყნის ამბავნი.

ოსმალოთგან.

სპარსეთის ელჩი, ჰაჯი მირზა აბდულასანხანი წარსრულს ნოემბერში წარუდგინეს ხონთქარს სანახავად და ამის შემდგომად იმისი კონსტანტინოპოლში ყოფნა დიდს ხანს აღარ იქმნება, ან წავა ვენას, და იქიდამ პარიჟს გაივლის და მივა ლონდონს.

ცნობილმა იზმაილ გიბრალტარმა ეგვიპტის ფაშის ელჩის მაგიერმა შვეციითგან წარგზავნა ეგვიპტეში სამი ხომალდი ზარბაზნითა, ზარბაზნის ტყვიებითა და სხვას სამხედროს სახმარის ნივთებით დატვირთული. ასე ამბობენ, რომე ვითამც ისინი დანიშნულნი იყვნენ სხვა და სხვას ციხეების შესაწევნელად და გასამაგრებლად ფლიბუსტებთან საბრძოლველად. ზემოხსენებულს ეგვიპტის ფაშის ელჩის მაგიერს იზმაილს ამისთვისა აქვს გიბრალტარის გვარი, რომე ერთს იმის წინაპართაგანს, რომელიც ყოფილა უფროსი ერთის პატარას ოსმალოს გემისა, დაუწვრია გიბრალტარის წყლებში ერთი დიდი ხომალდი მტრისა. ამ საქმის სახსოვრად ხონთქარს მიუცია მისთვის და მისის შთამომავლობისათვის ეს გვარი, და ნება დაურთავს, რათა დაიხატონ გიბრალტარის დალმართი მთა ზღვაში თავის გვარის ღერბში.

ქართულის გაზეთის გამომცემნი მომატებულად არ ჰრაცხვენ, რათა აცნობონ საზოგადოებასა რომელნიმე ცნობანი წარმატებათათვის სეროსა განათლებისათა ევროპასა შინა.

ჩვენ არა მოვიხსენებთ მას, რომელ დამყარება სხვა და სხვათა ორღანოთა და სხვათა სარგებლოთა იარაღთა ჟამსა მშიშეთა სამუშაკოთასა ჰმაგიერობენ დღეს ურიცხვსა რიცხვსა კაცთასა და საკვირველთა თეთრის ხარჯთა, რომელნიცა ჟამსა ერთა უმეცრებისასა მოხმარებულყოფილან მას ზედა. ჩვენ გვაქვს განზრახვა, რათა მოვაქსენოთ უფროდღება მკითხველთა ამისთა მას ზედა, რომელ კაცსა საშუალობითა განათლებისათა არა თუ ოდენ უპოვნია ღონე სრულიად მრთელთა და არა ვითარითამე ბუნებითგან მქონებელთა კაცთ ნაკლულევანებათა შრომათ აღმხუბუქებისა, არამედ მას რომლითამე სახითა უპოვნიაცა შემძლებელობად აღმსუბუქებად სნეულისაცა მათისა, რომელნიცა შობილ არიან ბრმად, ყრუდ და მუნჯად. მრავალთა ადგილთა შინა ევროპიისათა, და ვიდრემდე ჩვენ შორის პეტრე ბურღსაცა განწესებულ არიან და არსებენ საწადლის წარმატებით სასწავლებელნი უბედურთა ბუნებით ბრმათა და ყრუ მუნჯთა თჳს. სარგებლობასა, რომელიცა ამისგან წარმოდგეს, დავინახავთ შემდგომის მაგალითიდამ.

ქაღალდთაგან მარინასათა იანვრისა იგო. ინწერებიან, რომელ ორნი ძმანი, სახელით შიუტის ნათესავით ნაავის სალერცოლოსათა, ორთავე ყრუთა და მუნჯთა ჰქონიათ მოგზაურობა წარსრულს განზაფხულს ბოლემიასა, ავსტრიასა და ვენგრიასა შინა, და თჳს თანა არა თუ მცველთაგანი ვინმე, არამედ მოსამსახურენიცა არ ჰყოლიათ. მათ ყოველ დღე ჰქონიათ მოგზაურობისა თჳსისა ქრეთი ფრიად საამოდ წასაკითხავი აღწერა, რომლისაცა ქმნა ძალუძს მხოლოდ სმენა მოუკლებელსა და მეცნიერსა კაცსა. უფროსი იმათგანი სახელით დუდლი ყოფილა აღზრდილი ვენის ყრუ მუნჯთ სასწავლებელს შინა, და შემდგომად თვით შექმნილა მასწავლებლად.

თვითეულმან უწყის, რომელ განვითარება და განათლება კაცთა დამოკიდებულ არს საჭურველთა და კითხვისაგან სასარგებლოთა წიგნთასა. ევროპასა შინა თუმცა უმეტეს მრავალ არიან მისთჳს საშუალობანი და ღონენი; გარნა ყოველნივე იგი თვინიერ კეთილისა ნებისა და წადილისა კაცთასა დაშთებოდეთმცა სრულიად უსარგებლოდ. რათამცა სრულის ზომით ვაუწყოთ მკითხველთა ამის გაზეთისათა თუ ვითარითა მეცადინობითა და გულს მოდგინებითა კაცნი მცხოვრებნი ევროპასა შინა მიისწრაფვიან განათლებისადმი თავისა თჳსისა, ჩვენ მაგალითად მოვიტანთ ანგლიასა, ვითარცა ერთსა სახელმწიფოსა, სადაცა გამოცდილებანი და ახალ ახალნი პოვნილებანი მიწევნილ არიან შესაძლო არს თჳმად სრულებამდე.

ანგლიასა შინა მხოლოდ ლონდონს იბეჭდების ყოველდღე რვა სხვა და სხვა განთიადისა და შვი

დი მწუხრის გაზეთი, და კვირაობით ათი. ამა-
თგანი ყოველ დღე გადის განთიადისა თხუთმე-
ტი ათასამდის, მწუხრისა ცამეტი ათასამდის და კვი-
რისა ოც და ექვსი ათასამდის გაზეთის პირი
და სრულებით ყოველ დღე ამ გვარის სახით გადის
მუნ ორას ორმოცი ათასამდის სხვა და სხვათა ამბავთა
და პერიოდის თხზულებათ გაზეთი. შემოსავალი
გასყიდვისაგან მათისა განვრცელებათ ყოველს
კვირას ხუთიათასს რვას სტერლინგთ ფუნტამდის,
რომელიცა რუსულს ფეთრზედ იქმს უმეტეს ასი-
ათასსა რუბლისა.

სხვათა ადგილთა შინა ევროპიისათა და თვით
როსსიასაცა ბეჭდვა წიგნთა და გამოცემა სხვა
და სხვათა სასარგებლოთა თხზულებათა ეგრეთვე
ჟამითი ჟამად ვრცელდების და ჰმატებს საკვირვე-
ლის წარმატებით.

ფინლანდიასა შინა, რომელიცა შეერთდა
რუსეთს უწინ შემდგომად საქართველოისა მუ-
ნცა აწინდელს წელს ეგრეთვე გამოცემულ იქ-
მნება გაზეთი მუნებურთ მცხოვრებთ მუნებითსა
ენასა ზედა. გაზეთსა მას მისცემენ როგორც
აქ თვითს კვირას თვითს ნაბეჭდილს ფურცელს
მხოლოდ სხვობითა მით, რომელ მისაცემელი თვითს
წლის გამოცემულის გაზეთისათვს იქ დანიშნული
არის რვა რუბლი და ათი შაური თეთრი ფული,
და აქ მხოლოდ ორი რუბლი.

ესდა ქართულის გაზეთის მისაღებელად კელის
მოწერისა თუმცა მარტის პირველს შესრულდა,
მაგრამ რიცხვი კელის მომწერთა დიას შორს იყო
იმ დადებულს თეთრის რიცხვზე, რომელიცა ით
ქვა გაზეთის გამომცემთ პირველს გამოცხადება-
ში. ამის გამო სრულიად შეუძლებელ იქმნებოდა
დაწყება გაზეთისა მის გამოცემისა, თუ არ
ენებებინა მისს ყოვლად სამღვდელოებას სომეხთ-
არხიეპისკოპოზს ნერსესს მიღება თვს ზედა საკუ-
თრისა ხარჯა შემწეობისა და მოწოდება მრა-
ვალთა მიღებისათვს მისისა.

სამღვდელოებით მისის ყოვლად სამღვდელოებისა-
თა მხოლოდ სომეხთ სამღვდელოთ კელი მოუწერი-
ათ უმეტეს ასის გაზეთის ფურცლის აღებასა
ზედა.

გაზეთისა ამის გამომცემთა თავისას მხრით
ჰსწადსთ, რათა აჩვენონ მცხოვრებთა საქართველო-
ოსათა, რომელ საქმესა ამას შინა უძლევს მათ
არა სიხარბე ვეცხლის მოყვარებისადმი, არცა
საკუთარნი სარგებლობანი მათნი, არამედ მხოლოდ
სარგებლობა თვით მცხოვრებთა თვს ამის ქვე-
ყანისათა, და ამისთვს არა მისდევს მათ ნაკლუ-
ლევანებასა კელის მომწერთასა და იწყეს გამო-
ცემა ქართულის გაზეთისა, თუმცა დაესარჯო-
სთცა მათ რაოდენიმე საკუთარი თეთრი თვსი
სხვა და სხვათა საქმართა ნივთთა ზედა, რომე-
ლნიცა საჭირო არიან ჟამსა დაბეჭდვისა მისი-
სასა. იგინი აუწყებენ რა ამას საზოგადოობა-
სა ჰხთხოვენ მოყვარეთა სიტყვიერისა სწავლი-
ისათა, რათა მისცენ მათ ქართულსა ენასა ზე-
და სხვა და სხვანი ცნობანი, მოთხრობანი ყუ-
რად ღებისა ღირსთა საგანთათვს, რომელნიცა
ყოველნივე კმაყოფილებით მოხსენებულ იქმნებიან
გაზეთსა ამას შინა.

## ქართული ამბავი.

ქ[illegible]თაგან მაინისათა კთ. იანვარს.

ეკტემბერის სპოროლაში იმ ადგილს,
რომელსაც ეწოდება ტამში იანვრის იგ. ღამე
მესის ჩამოვარდნამ ცეცხლი მოუკიდა იქაურის
ეკლესიის სამრეკლოს, ამ ცეცხლის დაშრეტის
მოწადენი ეცადნენ წყლით გაქრობას, და მით
რომ ვერ შეიძლეს, მაშინ ერთი კასრი რძე
მოიტანეს და მცირედ მცირედ დაუწყეს სხმა მისა
და ამით სრულიად გააქრეს. მისდილმა რძემ ისე
ვერ დაშრიტა ალი ცეცხლისა, როგორც მოუსდე-
ლმა რძემ.